



Accountants &
business advisers

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
ზოგადი ინფორმაცია	7
წარდგენის საფუძვლები	7
საანგარიშგებო პალატა	7
კონსოლიდაციის საფუძვლები	7
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
პრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	12
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	13
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	14
ძირითადი საშუალებები	14
მოვების გადასახადი	15
სხვა აქტივები	15
კაპიტალი	15
სამართო და აღმინისტრაციული ხარჯები	16
რისკების მართვა	16
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	18
დაკავშირებული მხარეები	18
მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები	18
ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები	18
ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი არის:	19

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ფასს-ის შესაბამისად მომზადებული

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საბროკერო კომპანია შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2014 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

ბიძინა ბეჟუაშვილი



დირექტორი

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი

ანა კუჭავა



მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი

თარიღი: 29 აპრილი, 2015

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
საბროკერო კომპანია შპს „აბი ასეთ მენეჯმენტი“-ს ხელმძღვანელობას**

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

ჩვენ ჩავატარეთ საბროკერო კომპანია შპს „აბი ასეთ მენეჯმენტი“-ს („ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ჯგუფის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი, აგრეთვე, მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე, მოლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

განმარტებითი პარაგრაფი

ჯგუფის 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, განახორციელეს სხვა აუდიტორებმა, რომელთა 2014 წლის 27 მარტის დასკვნის თანახმად გამოტანილი იყო უპირობოდ დადებითი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

PKF Georgia LLC

შპს "ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"

თარიღი: 29 აპრილი, 2015



საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013	31 დეკემბერი 2012
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	376,783	35,845	124,750
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	8	-	392,307	358,841
მარაგები		2,899	6,373	6,340
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	9	4,100	4,100	4,100
ძირითადი საშუალებები	10	45,528	19,510	17,217
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	5,138	233	206
სხვა აქტივები	12	69,615	66,722	109,801
სულ აქტივები		504,063	525,090	621,255
პაღდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		6,714	2,144	1,023
სხვა ვალდებულებები		1,459	50	4,738
სულ პაღდებულებები		8,173	2,194	5,761
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	200,000	200,000	200,000
გადაფასების რეზერვი		-	12,000	-
გაუნაწილებელი მოგება		295,890	310,896	415,494
სულ კაპიტალი		495,890	522,896	615,494
სულ პაღდებულებები და კაპიტალი		504,063	525,090	621,255


ბიძინა ტეყუაშვილი
დირექტორი

თარიღი: 29 აპრილი, 2015


ანა კუჭავა
მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2014 წელი	2013 წელი
საბროკერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		33,472	137,109
საპროცენტო შემოსავალი		28,597	32,089
იჯარიდან შემოსავალი		52,085	-
სულ შემოსავალი		114,154	169,198
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი		(54,113)	(129,099)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(88,827)	(51,734)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		9,866	-
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		(12,991)	6,954
სულ ხარჯები		(146,065)	(173,879)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(31,911)	(4,681)
მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი		4,905	83
საანგარიშგებო წლის მოგება/(ზარალი)		(27,006)	(4,598)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(27,006)	(4,598)


ბიძინა ბეკუსელი
დირექტორი

თარიღი: 29 აპრილი, 2015



ანა კუჭავა
მოვარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში
პირდაპირი მეთოდი

	2014 წელი	2013 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული თანხები	37,838	181,645
ფულადი ნაკადები საიჯარო მომსახურებიდან	49,968	-
მიღებული/(გადახდილი) პროცენტები	28,597	32,089
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(52,671)	(132,585)
სხვა გადახდილი თანხები	(70,953)	(43,658)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(7,221)	37,491
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(49,345)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები	17,911	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(31,434)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	-	(100,000)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	(100,000)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(12,714)	6,952
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	(51,369)	(55,557)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	428,152	483,709
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის	376,783	428,152


ბიძინა ჩიქვაშვილი
დირექტორი

თარიღი: 29 აპრილი, 2015



ანა კუჭავა
მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31/12/2012	200,000	0	415,494	615,494
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	12,000	-	12,000
პერიოდის შედეგი	-	-	(4,598)	(4,598)
გაცემული დივიდენდი	-	-	(100,000)	(100,000)
31/12/2013	200,000	12,000	310,896	522,896
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	(12,000)	12,000	-
პერიოდის შედეგი	-	-	(27,006)	(27,006)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
31/12/2014	200,000	0	295,890	495,890


 ბიძინა ბერუაშვილი
 დირექტორი

თარიღი: 29 აპრილი, 2015


 ანა კუჭავა
 მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბროკერო კომპანია შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“-ს („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების: სს „ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ“-ის და სს „ბელარაშან ინვესტმენტს“-ის (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ მონაცემებს.

შპს „აბი ასეტ მენეჯმენტი“ დარეგისტრირდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 31 მაისს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აქტივების/საინვესტიციო ფონდების მართვა. მისი ფაქტური და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, №74 კომპანიის წილის 100% ეკუთვნის შპს „GTAM LIMITED“-ს. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები და წარმომადგენლობები.

შვილობილ საწარმოებში მონაწილეობა:	31/12/2014	31/12/2013
სს „ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ“	100%	100%
სს „ბელარაშან ინვესტმენტს“	100%	100%

სს „ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ“ დაფუძნებულია 2008 წლის 3 სექტემბერს. კომპანიის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობა. 2010 წლის შემდეგ კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე საქმიანობა. ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის ამ კომპანიის ნეტო აქტივები შეადგენდა 1,654 ლარს.

სს „ბელარაშან ინვესტმენტს“ დაფუძნებულია 2008 წლის 14 მაისს. კომპანიის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობა. კომპანიას დაფუძნების დღიდან არ განუხორციელებია რაიმე საქმიანობა. ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის ამ კომპანიის ნეტო აქტივები შეადგენდა 883 ლარს.

2 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

3 საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

4 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებულია შვილობილი საწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ კომპანიებს, რომელშიც „ჯგუფს“ ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან. ჯგუფის მიერ სხვა საწარმოს კონტროლის შეფასების დროს გაითვალისწინება ხმის უფლების არსებობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება ხდება იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირდება მაშინ, როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის განმარტებითი შენიშვნები

4 კონსოლიდაციის საფუძვლები (გაგრძელება)

როდესაც ხდება შეიღობილი საწარმოს შეძენა, საწარმოთა გაერთიანებაში მონაწილე აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები შეფასებულია შეძენის თარიღისათვის შეიღობილ საწარმოში მათი მიმდინარე ღირებულებით და არ გაითვალისწინება შეიღობილ საწარმოში არაკონტროლირებადი წილი. ჯგუფის არაკონტროლირებადი წილი შეიღობილ კომპანიაში განისაზღვრება შეიღობილ კომპანიაში ჯგუფის კუთვნილი წილიდან აქტივების პროპორციულად.

გუდვილი შეფასებულია შეძენისას გადახდილი თანხის, არაკონტროლირებადი წილის და შეძენის წინ შეძენილ კომპანიაში ფლობილი წილის ღირებულებების ჯამიდან შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების ღირებულების (რომელიც შეფასებულია შეძენილი კომპანიისათვის შეძენის თარიღში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე) გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი სხვაობა ("უარყოფითი გუდვილი") აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი თავიდან შეაფასებს მიღებული აქტივების, აღიარებული ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სისრულეს და გადაამოწმებს მათი შეფასების საიმედოობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის და მისი შეიღობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შეიღობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შეიღობილი კომპანიების კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ.

სათაო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც შეიღობილი კომპანიებისა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს მსგავს ტრანზაქციებსა და სხვა მოვლენებთან მიმართებაში გამოყენებულია ერთგვაროვანი პოლიტიკა.

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

5.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

5.2 მარაგები

მარაგები ნაჩვენებია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ყველა იმ დანახარჯს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილზე და მდგომარეობაში მოსაყვანად.

თვითღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გაშლილი ხელის პრინციპით განსაზღვრული მიახლოებით სარეალიზაციო ფასის და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებს შორის სხვაობით.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.3 ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში

ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღიარდება და შემდგომში წარედგინება ინვესტიციის რეალური ღირებულებით. ჩვეულებრივ, კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციის რეალური ღირებულება აღიარების მომენტში მისი შეძენის ფასის ტოლია. თუკი შეძენის ფასი განსხვავდება შეძენის მომენტში ინვესტიციის რეალური ღირებულებისაგან მაშინ ეს განსხვავება აღიარდება შემოსავლად ან ზარალად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება სხვა სრულ შემოსულობებში, თუკი ეს ინვესტიცია არ არის განკუთვნილი სავაჭროდ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალში.

5.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ზარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

კომპანია ძირითადი საშუალებების სხვადასხვა ჯგუფებისთვის იყენებს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით რაც არის გადაფასების თარიღისათვის აქტივის რეალური ღირებულება, მინუს შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და შემდგომი აკუმულირებული გაუფასურება.

გადაფასებები ტარდება საკმარისი სიხშირით იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება. სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულების განსაზღვრა ხდება ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულებების საფუძველზე პროფესიონალი შემფასებლების მიერ.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებაზე. როდესაც გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, ხელახლა ხდება აქტივის გადაფასება. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. თუ ძირითადი საშუალებების ჯგუფიდან ერთი კონკრეტული აქტივი გადაფასდა, გადაფასდება მთლიანად ის ჯგუფი, რომელიც ამ აქტივს შეიცავს. შემდგომი ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სხვა დანარჩენი ჯგუფები აღრიცხულია დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ აქტივის შეძენას უკავშირდება.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივიდან კომპანია სამომავლოდ მიიღებს სარგებელს და შეფასებულია საიმედოდ. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მათი გაწევის პერიოდის მიხედვით.

ჯგუფი	მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ამორტიზირდება გაუმჯობესების სასიცოცხლო ვადასა და კონტრაქტის ვადას შორის უმცირესის განმავლობაში.

5.5 მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება ანგარიშგების მომზადების მომენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალები გადავადდება 5 წლის ვადით.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე. გადავადებულ მოგების გადასახადში არსებული ცვლილებები აღირიცხება „მოგების გადასახადის (ზარჯი) / სარგებელი“-ს მუხლში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

5.6 სხვა აქტივები

ჯგუფის სხვა აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში წარედგინება ამორტიზირებული თანხით.

5.7 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.8 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

5.9 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საბროკერო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ევენტუური საბროკერო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საბროკერო საქმიანობიდან მიღებული საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როცა მომსახურება მიიღება ან გაწეულ იქნება.

5.10 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შემდეგ წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2014 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა	31/12/2014	31/12/2013
აშშ დოლარი (USD)	1.8636	1.7363
ევრო (EUR)	2.2656	2.3891
გირვანქა სტერლინგი (GBP)	2.8932	2.8614

5.11 წინა პერიოდის შეცდომები

ჯგუფი წინა პერიოდის არსებით შეცდომებს ასწორებს იმ წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას, როდესაც ხდება შეცდომის აღმოჩენა. შეცდომის გასწორება ხდება შესაბამისი წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების შეცვლის გზით, ხოლო თუ შეცდომები აღმოჩენილია ისეთ წინა პერიოდში, რომლის შესადარისი მონაცემების წარდგენაც არ ხდება, მაშინ ხდება შესაბამისი აქტივების, ვალდებულებების ან კაპიტალის საწყისი ნაშთების შეცვლა.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტმა აღმოაჩინა წინა პერიოდის შეცდომები, რაც გასწორდა რეტროსპექტიულად, როგორც ზემოთ არის განმარტებული. შეცდომები გავლენას ახდენდა შემდეგ მუხლებზე:

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.11 წინა პერიოდის შეცდომები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შესწორებული 31-12-2013	ადრე წარდგენილი 31-12-2013	ცვლილება
მარაგები	6,373	7,061	(688)
ძირითადი საშუალებები	19,510	20,653	(1,143)
გადავადებული საგადასახადო აქტივი	233	206	27
სხვა აქტივები	66,722	94,805	(28,083)
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,144	3,144	(1,000)
გადაფასების რეზერვი	12,000	10,704	1,296
გაუნაწილებელი მოგება	310,896	341,077	(30,181)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შესწორებული 2013 წელი	ადრე წარდგენილი 2013 წელი	ცვლილება
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი	(129,099)	(128,113)	(986)
ადმინისტრაციული ხარჯები	(51,734)	(51,449)	(285)
მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	83	583	(500)

6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობას სჭირდება მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გამოყენება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელთა ღირებულება სხვა მხრივ ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება. გამოყენებული შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები მუდმივი გადახედვის და ხელახლა განხილვის საგანია. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა. შემდეგ ტექსტში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეწება მომავალ მოვლენებს და აღწერილია ის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა მენეჯმენტი ამ შეფასებების გაკეთებისას და რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ არსებითი ცვლილებები გამოიწვიონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების თანხებში.

6.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას აფასებს მენეჯმენტი. შეფასება გამომდინარეობს მსგავს აქტივებზე წარსული გამოცდილებიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება აქტივის მოსალოდნელი გამოყენება, მიახლოებითი ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ შეფასებებში ან მდგომარეობებში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ნორმებში ცვლილებები.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

6.2 გადაფასების მოდელით აღრიცხული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებები

სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულება, რომლებიც ბასს 16-ის გადაფასების მოდელით არის აღრიცხული, ფასდება შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით. შეფასების პროცესი თავისთავად მოითხოვს სხვადასხვა დაშვებებისა და მსჯელობების გამოყენებას და ამდენად კომპანიის სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რითაც ისინი წარდგენილია ბალანსში.

6.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად იქნას დარიცხული გადასახადები, რაც გამოიწვევს თავდაპირველად აღიარებული თანხების ცვლილებას.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ნაღდი ფული საღაროში	7.1	-	-
ფული ბანკში	7.1	376,783	35,845
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		376,783	35,845

7.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ქართული ლარი (GEL)	59,440	30,229
ა.შ.შ. დოლარი (USD)	311,666	1
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	5,672	5,610
ევრო (EUR)	5	5
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	376,783	35,845

8 საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით

საბანკო დეპოზიტები ვალუტების მიხედვით	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ქართული ლარი (GEL)	-	392,307
სულ საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	-	392,307
	გვერდი	13

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

9 გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

ფასიანი ქაღალდები	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
სს საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)	4,100	4,100
სულ გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	4,100	4,100

10 ძირითადი საშუალებები

2013 წელი

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	31,200	31,309	1,817	64,326
დამატება	-	-	-	-
გადაფასება	(19,200)	-	-	(19,200)
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	12,000	31,309	1,817	45,126
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	(26,994)	(19,337)	(778)	(47,109)
პერიოდის ცვეთა	(4,436)	(4,998)	(273)	(9,707)
ელიმინირება გადაფასებისას	31,200	-	-	31,200
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	(230)	(24,335)	(1,051)	(25,616)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის	4,206	11,972	1,039	17,217
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	11,770	6,974	766	19,510

2014 წელი

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	12,000	31,309	1,817	45,126
დამატება	49,274	-	-	49,274
გადაფასება	-	-	-	-
გასვლა	(12,000)	(16,695)	-	(28,695)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	49,274	14,614	1,817	65,705
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	(230)	(24,335)	(1,051)	(25,616)
პერიოდის ცვეთა	(6,304)	(2,886)	(273)	(9,463)
გაყიდული აქტივების დაგროვილი ცვეთა	1,703	13,199	-	14,902
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	(4,831)	(14,022)	(1,324)	(20,177)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	11,770	6,974	766	19,510
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	44,443	592	493	45,528

გვერდი

14

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11 მოგების გადასახადი

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ძირითადი საშუალებები	(762)	194
სხვა აქტივები	37	39
მომავალი საგადასახადო მოგებიდან გამოქვითვადი საგადასახადო ზარალი	5,863	-
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	5,138	233

ქვემოთ განმარტებულია ბალანსის ის მუხლები, რომლებიც წარმოშობენ გადავადებულ გადასახადებს:

ძირითადი საშუალებები - საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული ცვეთის მეთოდი და განაკვეთები განსხვავდება ფასს-ის ნორმებისაგან, რაც წარმოშობს სხვაობას ძირითადი საშუალებების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები - საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებული ამორტიზაციის მეთოდი განსხვავდება ფასს-ის ნორმებისაგან, რაც წარმოშობს სხვაობას არამატერიალური აქტივების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის. არამატერიალური აქტივები ჩართულია სხვა აქტივების მუხლში.

აკუმულირებული საგადასახადო ზარალი - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, დაგროვილი საგადასახადო ზარალი შესაძლებელია გამოაკლდეს დასაბეგრ მოგებას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

12 სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
სავაჭრო მოთხოვნები	15,099	10,447
ავანსად გადახდილი გადასახადები	54,314	56,003
სხვა	202	272
სულ სხვა აქტივები	69,615	66,722

13 კაპიტალი

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს 362,100 ლარს. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელთა მთლიანი კაპიტალი შეადგენს 495,890 ლარს. კომპანიის მხრიდან ბალანსის თარიღისთვის დაკმაყოფილებულია კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა, თუმცა 2015 წლის 1 იანვრიდან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა გაიზარდა 500,000 ლარამდე და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპანია 2015 წლის განმავლობაშიც აკმაყოფილებს მოთხოვნას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ განმარტებითი შენიშვნა №19.

დივიდენდების გატანის შესახებ მფლობელების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში არ გაიტანონ დივიდენდი, რათა ჯგუფის კაპიტალი შესაბამისობაში დარჩეს კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნასთან.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

14 სამართო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2014 წელი	2013 წელი
საიჯარო ქირა	59,408	20,744
ცვეთა და ამორტიზაცია	9,533	9,777
ავტომობილის შენახვის ხარჯი	8,954	8,057
რემონტის ხარჯი	4,138	1,829
კომუნიკაციის ხარჯი	2,187	3,453
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,702	3,007
საკონსულტაციო ხარჯი	825	900
სხვა ხარჯი	1,080	3,967
სულ სამართო და ადმინისტრაციული ხარჯები	88,827	51,734

15 რისკების მართვა

15.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჯგუფისთვის არის საბანკო ანგარიშებზე მისი ფულადი სახსრების და სხვა მისაღები თანხების ნაშთების ჯამის ტოლი, ანუ ეს არის ის თანხები, რაც სხვა მხარეებისგან არის მისაღები ბალანსის თარიღისთვის. ფულადი სახსრები განთავსებულია ისეთ ბანკებში, სადაც ფაქტიურად არ არსებობს იმის რისკი, რომ ჯგუფი მათგან ამ ფულს პირველივე მოთხოვნისას ვერ მიიღებს. დებიტორული დავალიანება ძირითადად სახელმწიფოსთვის ავანსად გადახდილი თანხებია, ხოლო დანარჩენი მისაღები თანხებიც ისეთი კომპანიებიდან არის, საიდანაც საკრედიტო რისკის წარმოქმნის ალბათობა მინიმალურია. აქედან გამომდინარე, ჯგუფს არ გააჩნია არსებითი საკრედიტო რისკი.

15.2 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკუროს სხვაობის რისკს. ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

31/12/2013	GEL	USD	GBP	EUR	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,229	1	5,610	5	35,845
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	392,307	-	-	-	392,307
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	4,100	-	-	-	4,100
სხვა მოთხოვნები	64,532	-	-	-	64,532
სულ	491,168	1	5,610	5	496,784
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,144	-	-	-	2,144
სხვა ვალდებულებები	50	-	-	-	50
სულ	2,194	-	-	-	2,194
სავალუტო პოზიცია	488,974	1	5,610	5	494,590

საპროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

15 რისკების მართვა (გაგრძელება)

15.2 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

31/12/2014	GEL	USD	GBP	EUR	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,440	311,666	5,672	5	376,783
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	-	-	-	-	-
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	4,100	-	-	-	4,100
სხვა მოთხოვნები	67,297	-	-	-	67,297
სულ	130,837	311,666	5,672	5	448,180
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	6,714	-	-	-	6,714
სხვა ვალდებულებები	1,459	-	-	-	1,459
სულ	8,173	-	-	-	8,173
სავალუტო პოზიცია	122,664	311,666	5,672	5	440,007

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ჯგუფი ძირითადად იმ სავალუტო რისკის წინაშე დგას, რომელიც წარმოიშობა აშშ დოლარის ლართან გაცვლითი კურსის ცვლილებით. ჯგუფის მენეჯმენტი, ითვალისწინებს რა ქვეყანაში არსებულ პერიოდულ სავალუტო რყევებს, რაც უფრო მეტად ლარის გაუფასურებისკენ არის მიმართული, ცდილობს რომ მეტი აქტივი განათავსოს აშშ დოლარში.

15.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

ჯგუფს არ გააჩნია პროცენტის მატარებელი აქტივები ან ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ჯგუფს არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი.

15.4 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს მტკიცებულება იმისა რომ, რომელიმე აქტივი გაუფასურებულია და დაფარვა მოხდება კონტრაქტით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ, რა შემთხვევაშიც გაითვალისწინება სავარაუდო დაფარვის თარიღი.

ჯგუფის ბალანსში წარმოდგენილი ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება არის მოკლევადიანი და ჯგუფის 2014 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ფინანსური აქტივები ფინანსურ ვალდებულებებს 55-ჯერ აღემატება (2013: 226-ჯერ) და შესაბამისად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ გააჩნია რაიმე ლიკვიდურობის მნიშვნელოვანი რისკი.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

16 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

17 დაკავშირებული მხარეები

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კომპანიას ტრანზაქციები აქვს დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები დარიცხული ხელფასი:	2014 წელი	2013 წელი
მენეჯმენტი	19,518	70,862
მფლობელები	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-
სულ დარიცხული ხელფასი	19,518	70,862

18 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

18.1 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას. ამავე დროს, აღნიშნული კანონები განიცდის ხშირ ცვლილებას. კომპანიის მენეჯმენტის მიერ აღქმული კანონმდებლობის მოთხოვნების ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის საქმიანობაში, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოებმა უფრო ხისტად დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნის საკუთარი ინტერპრეტაცია. შედეგად, შესაძლებელია კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

18.2 სასამართლო დავები

ჯგუფს არც ბალანსის და არც ხელმოწერის თარიღისთვის არ აქვს სასამართლო დავები.

19 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით 2015 წლის 1 იანვრიდან საბროკერო კომპანიის კაპიტალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 500,000 ლარს. საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფის კაპიტალი ნაკლები იყო ამ მოთხოვნაზე. მენეჯმენტის შეფასებით ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის ჯგუფის კაპიტალი შეადგენს 553,067 ლარს, რაც მოთხოვნილზე მეტია. ბალანსის თარიღიდან ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მიღებული მოგების ძირითადი წყარო არის უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე არსებულ ნაშთებზე სავალუტო კურსის ცვლილების დადებითი გავლენა.

საბროკერო კომპანია შპს აბი ასეტ მენეჯმენტი
 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ლარში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

19 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოხდა ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა. ქვემოთ მოცემულია ვალუტის კურსები ბალანსის თარიღისათვის და ხელმოწერის თარიღისათვის:

	ვალუტა	29/04/2015	31/12/2014	ცვლილება ზრდა/(კლება)
აშშ დოლარი (USD)		2.3087	1.8636	24%
ევრო (EUR)		2.5239	2.2656	11%
გირვანქა სტერლინგი (GBP)		3.5282	2.8932	22%

ჯგუფის მენეჯმენტის მხრიდან, სავალუტო რისკის მართვის პოლიტიკა აღწერილია 15.2 განმარტებით შენიშვნაში.